

*საბჭო!*  
*8.01.2014 წ.*  
*[Signature]*

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის  
ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს  
თავმჯდომარეს ბ-ნ ზ.ხალვაშს

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის  
ტელევიზიისა და რადიოს  
დირექტორს ბ-ნ ს.სტურუას

ბატონებო,

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 35 „9“ (გ) ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში შემოვიდა თქვენს მიერ ხელმოწერილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი (N01-22/12, 31 დეკემბერი, 2013 წელი).

მოგახსენებთ, რომ მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოქმედ სამეურვეო საბჭოს აეკრძალა გადაწყვეტილებების, მათ შორის განსახილველ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, მიღებაც და მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია შერჩა. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტილების უფლება ექნება ახლადარჩეულ სამეურვეო საბჭოს, რომლის ფორმირების პროცესი გრძელდება საქართველოს პარლამენტის მიერ.

სამწუხაროდ, ასეთივე ვითარებაა შექმნილი საზოგადოებრივ მაუწყებელშიც, რომლის 2014 წლის ბიუჯეტის მიღების პროცესი ამ საკანონმდებლო აქტის ამოქმედებამ პრაქტიკულად ჩაშალა. ამიტომ, გაძლევთ რეკომენდაციას, იმოქმედოთ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში და დაელოდოთ ახლადარჩეული საბჭოს ფორმირებას.

პატივისცემით,

ემზარ გოგუაძე  
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“  
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე  
8.01.2014



სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის  
აჭარის ტელევიზია და რადიო  
შემოსული № 01-22/06  
№ „17“ 01 2014

№ 25/07 8 01 201